

მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა  
საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის  
მიხედვით

ნიტა ცერცვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

კურსის ხელმძღვანელი: უჩა თოდუა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომი შეიცავს ჩემ მიერ აკადემიური წერის კურსის ფარგლებში შესრულებული დავალებიდან- მორალური ზიანის ქონებრივი ეკვივალენტის განსაზღვრის ტენდენციები საქართველოსა და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში აღებულ მონაკვეთებს, გადამუშავებული სახით.

ნიტა ცერცვაძე

25 ივნისი, 2024 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლებს, მიზნებს, მისი თანხობრივი ოდენობის დადგენის საკანონმდებლო ნორმებითა და დოქტრინალური წყაროებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივ რეალობაში. მსჯელობა წარმოდგენილია დელიქტური სამართლის ფარგლებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებისას. კანონმდებლობით განსაზღვრულია მხოლოდ ზოგადი ხასიათის- გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმები მორალური ზიანის ანაზღაურების დასადგენად. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური თუ საშტატო კანონმდებლობა დეტალურად ჩამოთვლის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს. ანაზღაურების ოდენობა კი, თითოეულ შტატში განისაზღვრება შტატის სამართლითა და მოსამართლეთა მიერ შექმნილი მოდელური სქემებით.

მორალური ზიანის ანაზღაურების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების არასრულყოფილება და მეტად ზოგადი ხასიათი ართულებს მოსამართლეთა მხრიდან ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრასა და მის დასაბუთებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსამართლეთათვის თუ ნაფიც მსაჯულთათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფულადი ექვივალენტის გამოთვლის ინსტრუქციების არსებობა და შტატების კანონმდებლობით ანაზღაურების ოდენობაზე შეზღუდვის დაწესება ამარტივებს ზიანის ანაზღაურების მიზნის მიღწევას. წინამდებარე ნაშრომში აღნიშნულია ქართულ სამართლებრივ სივრცეში ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიდგომების გათვალისწინების უპირატესობანი.

საკვანძო სიტყვები: მორალური ზიანი, ზიანის ანაზღაურების ფუნქცია, ანაზღაურების ოდენობის ზღვარი, მოდელური ინსტრუქცია.

## Abstract

This master's thesis deals with the foundations, goals, and criteria for determining the amount of moral damages provided by legal norms and doctrinal sources in the legal reality of Georgia and the United States of America. The reasoning is presented within the framework of tort law. In accordance with the Civil Code of Georgia, non-property damage is compensated in cases precisely defined by the law, in case of injury to body and health. Legislation defines only the criteria of general nature - reasonableness and justice, for determining compensation for moral damages. Federal and state laws in the United States of America detail the cases of non-pecuniary damages. The amount of compensation is determined in each state by state law and model schemes created by judges.

The imperfection and very general nature of the criteria for compensation of moral damages established by the legislation of Georgia makes it difficult for judge to determine the amount of compensation and justify it. The existence of guidelines for judges or juries to calculate the monetary equivalent of non-pecuniary damages and placing caps on damages by state law make it easier to achieve the aim of compensatory damages in the United States. The present paper mentions the advantages of considering the approaches of the law of the United States of America in the Georgian legal space.

Key words: moral damage, function of compensation, damage cap, model instruction.